თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6382854

ნომერი: AR1954689

თარიღი : 14.03.2023

გაცემის თარიღი : 23.03.2023

გაცნობის თარიღი : 24.03.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთი ახალკაცი პ/ნ 57001058180
- ხაშური ს. ალი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საჯარო რეესტრის ამონაწერში მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება შეზღუდვა -„დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“, საჭიროა აღნიშნული შეზღუდვის მოხსნა და განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერის წარმოდგენა.

ასევე წარმოდგენილ იქნეს 25/01/2016 წლის №-292-5-17294 ხელშეკრულება და საჭიროების შემთხვევაში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.

წარმოდგენილი იქნას თბილისი ენერჯის თანხმობა დაგეგმილ სამუშაოებზე დამოწმებული გენგეგმით.

წარმოდგენილი იქნას ძირითადი წყალმომარაგების ქსელის მესაკუთრის თანხმობა დაგეგმილ სამუშაოებზე დამოწმებული გენგეგმით.

წარმოადგინეთ კ3- კოეფიციენტის ანგარიში სათანადო კროკებით თუ ხდება რსებული ნარგავების მოჭრა ან გადარგვა უნდა წარმოადგინოთ განთავსების სქემა ტაქსაციით სადაც დაცული იქნება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, საპროექტო ობიექტიდან ხეებთან მიმართებაში დაცულ იქნას 3 მ. ხოლო ბუჩქის შემთხვევაში დაცულ იქნას 1.5 მ. მანძილები. (დაიტანეთ მანძილები საპროექტო შენობა-ნაგებობიდან არსებულ ხე/ნარგავებამდე).

ხე-ნარგავების მოჭრის ან გადარგვის შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას ტოპო-გეგმა მოსაჭრელი ან გადასარგავი ხე მცენარეების მითითებით დამოწმებული სათანადო წესით უფლებამოსილი ორგანოს/სპეციალისტის მიერ და დენდროლოგიური დასკვნა (არსებული ხე–ნარგავების საექსპერტო დასკვნა) და ტაქსაცია, სადაც მითითებული იქნება, თუ რომელი ხე–ნარგავი უნდა გადაირგოს ან მოიჭრას (ხე-ნარგავები დანომრეთ ტაქსაციის ნუმერაციის შესაბამისად). ასევე აღნშნული უნდა დაიტანოთ სქემაზეც.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.